

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტში, მაკროეკონომიკური კვლევების განყოფილების უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე.

**მაკროეკონომიკური კვლევების განყოფილება** ახორციელებს ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესების ანალიზს და წარმართავს მაკროეკონომიკურ მოდელირებას პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის მიზნით. კვლევების შედეგების საფუძველზე განყოფილება წინადადებებს აწვდის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტს და ეროვნული ბანკის პრეზიდენტს შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით. განყოფილების მოვალეობებში შედის ასევე აქტუალურ ეკონომიკურ თემებზე კვლევითი ნაშრომების მომზადება და გამოქვეყნება.

**სამუშაოს სპეციფიკა** მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს განავითაროს და წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები. ორგანიზაციის შიგნით და საზღვარგარეთ ტრენინგებზე მონაწილეობით, აგრეთვე გამოცდილ უცხოელ ექსპერტებთან ურთიერთობით, დასაქმებულს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მსოფლიოში არსებულ თანამედროვე პრაქტიკას ამ სფეროში და გაიღრმავოს პროფესიონალიზმი.

#### **ფუნქცია-მოვალეობები:**

- ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი;
- მაკროეკონომიკური მოდელების აგება და მართვა;
- სხვადასხვა ეკონომიკური კვლევების მომზადება;
- კვარტალური მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა;
- საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა;
- ქვეყანაში ეკონომიკური ცოდნის გავრცელებისა და კვლევების ხელშეწყობისაკენ მიმართულ ღონისძიებებში მონაწილეობა.

#### **ძირითადი მოთხოვნები:**

- **განათლება:** უმაღლესი (სასურველია მაგისტრის ხარისხი ეკონომიკურ სფეროში);
- **მუშაობის გამოცდილება:** 1 წელი;
- **საკანონმდებლო ბაზა:** „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- **კომპიუტერული პროგრამები:** MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად

- უცხო ენები: ინგლისური ენა - B1; რუსული ენა - B1

#### კომპეტენციები:

- წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადება;
- ცვლილებების ინიცირება და მართვა;
- ანალიტიკური ანგარიშის მომზადება;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
- შედეგზე ორიენტაცია;
- გუნდური მუშაობა.

#### სასურველია:

- ეკონომიკის მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი (ან დამამთავრებელი კურსი) მაკროეკონომიკის ან ეკონომეტრიკის პროფილით;
- მაკროეკონომიკის ღრმა ცოდნა;
- DSGE და მსგავს მაკროეკონომიკურ მოდელებთან მუშაობის გამოცდილება;
- MATLAB-თან და მაკრო/ეკონომეტრიკულ პაკეტებთან მუშაობის გამოცდილება;
- ძლიერი ანალიტიკური აზროვნება და მრავალმხრივი ინფორმაციის სისტემატიზირების უნარი;

თანამდებობრივი სარგო: 2 430 ლარი (დარიცხული)

#### კონკურსის ფორმა:

- რეზიუმეების გადარჩევა;
- გასაუბრება.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, 2019 წლის 12 სექტემბრამდე, CV გამოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [vacancies@nbg.gov.ge](mailto:vacancies@nbg.gov.ge), ხოლო სათაურში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება - მაკროეკონომიკური კვლევების განყოფილების უფროსი სპეციალისტი.